უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 6

ქ. თბილისი 17.07.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA – Georgia) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით აფრასიძე - ევროკავშირის პროექტი - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება" პროექტის მენეჯერი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, პროგრამის დირექტორი, სხდომის მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
ელენე მამუკელაშვილი - კანცლერი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნატო ალავიძე;
დავით ყიფიანი;
ნინო პატარაია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:27 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომაზე საბჭოს მდივნის გამოუცხადებლობის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა თინათინ ბრეგვაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2.შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს ინტერბიზნესის აკადემიის წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსი 2017 წლის 1 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით არ იმყოფებოდა ქალაქ თბილისში. წარმოდგენილი შუამდგომლობის მიხედვით, დაწესებულება ითხოვდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის გადადებას.

საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2.შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ. ექსპერტის განცხადებით, 2017 წლის 31 მარტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა წარადგინა განაცხადი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას 1200 სტუდენტიდან 3000 სტუდენტამდე. ნატო ალავიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი გარემო. კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით, პრაქტიკის ობიექტები და კლინიკური ბაზები ასევე უზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარით.

ნატო ალავიძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ დაწესებულება იყენებდა გარე კლინიკურ ბაზებს და შესაბამისად სტუდენტები როტაციის პრინციპით იღებდნენ პრაქტიკულ ცოდნას. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო ფართის საერთო მოცულობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფდა მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის სრულყოფილ განხორციელებას.

მაგდა მაღრაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მიმართა კითხვით, თუ რომელ პროგრამებზე სურდათ კონტიგენტის გაზრდა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განცხადებით, დაწესებულებას 75%-ით სურდა სამედიცინო მიმართულებით გაზრდა, ხოლო დარჩენილი 25%-ს კი პროპორციულად გადაანაწილებდნენ სხვადასხვა ფაკულტეტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარემ განაცხადა , რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განსახორიცლებლად მატერიალურ-ინფრასტრუქტურული რესურსი და აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატური იქნებოდა, ხოლო ადმინისტრაციული რესურსი, შეთავაზებული სერვისები, ორგანიზაციული და ხარისხის მართვის არსებული პრაქტიკა მოითხოვდა უფრო მეტ სტრუქტურიზაციას. ნატო ალავიძემ საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით უნივერსიტეტში არ არსებობდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ფორმალიზებული პროცედურა, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განცხადებით აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა დაუძლეველ წინააღმდეგობას კონტიგენტის გაზრდის პროცესისათვის, ვინაიდან, დაწესებულების ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ დაწესებულება ითვალისწინებდა თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტიგენტს, რათა უზრუნველეყოთ

პროგრამის მდგრადობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის პროცესში.

ნატო ალავიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებული მმართველობითი სისტემა პასუხობდა უნივერსიტეტის წინაშე ამჟამად არსებულ გამოწვევებს. თუმცა, არსებობდა იმის რისკი, რომ უნივერისტეტში სტუდენტთა კონტიგენტის ზრდას სამომავლოდ გამოეწვია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საკითხში რისკების გარკვეული ზრდაც. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შეხვედრაზე ასევე ისაუბრა 2017-2024 წლების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის პროექტებზე. მისი თქმით, პროექტებში ასახული იყო უნივერსიტეტის თანმიმდევრული მიდგომა დაწესებულების მიზანმიმართული განვითარებისათვის.

კიდევ ერთი საკითხი რომელზეც ყურადღება გაამახვილა ნატო ალავიძემ ეხებოდა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კვალიფიციურ პერსონალს. მისი თქმით, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა ყველანაირი რესურსი იმისთვის, რომ ეფექტურად წარემართათ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არსებული მდგომარეობით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობდა მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებულ, მრავალფეროვან და ეფექტურ სერვისებს, რაც დასტურდებოდა ინტერვიუების პროცესში გამოვლენილი სტუდენტების კმაყოფილებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მზაობის მაღალი დონით. ნატო ალავიძე ასევე განიხილა ბიუჯეტის საკითხიც. მისი თქმით ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებდა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა მყარი ფინანსური ბაზისი, დინამიურად მზარდი შემოსავლები და დაბალანსებული ხარჯები და შემოსავლები, რაც განაპირობებდა მის ფინანსური მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დავით კერესელიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ მოთხოვნილი კონტიგენტის რაოდენობა რეალურად აღწერდა განმეორებით ავტორიზაციამდე მსურველი სტუდენტების რაოდენობას. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტების მიერ შემუშავებული ხუთივე რეკომენდაცია მისაღები და გასათვალისწინებელი იყო. დავით კერესელიძემ სხდომაზე ისაუბრა დაწესებულებაში პერსონალის ზრდის შესახებ. მისი თქმით, პერსონალის ზრდა სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად იგეგმებოდა. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამსაქმებლებთან მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად დაწესებულება ძირითადად საკუთარ რესურსს იყენებდა და შესაბამისად როტაციის განხორციელებასაც საკუთარ ბაზებზე მოახდენდა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა სამეცნიერო/კვლევით კომპონენტზე. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით დაწესებულება ხელს უწყობდა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვებაში კვლევების ჩასატარებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ასევე, კონსულტაციას უწევდნენ სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით კერესელიძეს ჰკითხა თუ რამდენ წელს ითვლიდა დაწესებულება ბაზარზე. ასევე, უცხოელი და ქართველი სტუდენტების თანაფარდობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს 2017 წლის 10 ოქტომბერს ფუნქციონირების ოთხი წელი შეუსრულდებოდა. დავით კერესელიძემ სხდომაზე, ასევე, ისაუბრა სტუდენტების რაოდენობაზეც. მისი განაცხადებით, სტუდენტების ნახევარზე მეტი - 76% იყო უცხოელი, დანარჩენი 34 % კი ქართველი. რაც შეეხებოდა სამედიცინო მიმართულებით ფაკულტეტზე 96% იყვნენ უცხოელები.

- დავით კერესელიძემ სხდომაზე ყურადღება გაამახვილა სამომავლო გეგმებზეც. მისი განცხადებით, 2021 წლიდან უნივერსიტეტი გეგმავდა ქართველი სტუდენტების ხვედრითი წილის გაზრდას. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებას რეალურად ჰქონდა რესურსი სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელი 6000-მდე გაეზარდა. თუმცა, მისი განცხადებით კონტიგენტს პრაგმატულად ზრდიდნენ და არა რეალურად რამდენის დამატება შეეძლოთ. დავით კერესელიძემ ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს საკუთარი სწავლის პრინციპი ჰქონდა, რომელიც გულისხმობდა „სწავლა კეთებით", რაშიც იგულისხმებოდა პრაქტიკული გამოცდილების მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა სწავლის საფასურზე. დავით კერესელიძის განცხადებით, სწავლის საფასური დამოკიდებული იყო პროგრამაზე. თუმცა, აქვე დაამატა რომ გადასახადო 5500$ არ სცილდებოდა. დავით კერესელიძემ სტუდენტების მოზიდვაზეც ისაუბრა. მისი თქმით, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა ძირითადად ხდებოდა აგენტების საშუალებით. აქვე მან დაამატა, რომ უცხოელი სტუდენტები ძირითადად იყვნენ ინდოეთიდან, ნიგერიიდან და ისრაელიდან. ქართულ ბაზარზე დაწესებულება ამ ეტაპზე არ აკეთებდა რეკლამირებას, რაც სამომავლოდ იგეგმებოდა,

საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ სხდომაზე განაცხადა, რომ 2013 წლიდან დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან. დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რა სახის ურთიერთანამშრომლობას აწარმოებდნენ. დავით კერესელიძის განცხადებით აღნიშნულ ცენტრთან ერთად ავითარებდნენ სწავლების, კვლევის და სიახლეების დანერგვას. ცენტრის თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 000-ით.

2. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ სხდომაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის დადგენილი წესის შესაბამისად გაეგზავნა საბჭოს სხდომაზე მოწვევის წერილი, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სხდომის დღის წესრიგი გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებგვერდზე. ცენტრისთვის უცნობი იყო, თუ რატომ ვერ მოხერხდა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის წარმომადგენლების სხდომაზე დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო საკითხები, რომელთა დაზუსტებაც აუცილებელი იყო უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგი სხდომისთვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 15:25 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე